№ 227 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. პარასკევი, ოქტომბრის 8 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ, უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—62

## მეცხვარეთა საყურადღებოდ.

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას

## „მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებულ იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებულ იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

926 10—1 მომარაგების სამინისტრო.

---

## განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება ტფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

### მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ უნდა მიმართონ

### მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებათ.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

### მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან

## აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

### ა) საშუალო ღირსების გარეცხილი მატყლი 4000 მ.

### ბ) სუფთა-ახალქალაქის და სხვა რაიონების 4500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

### ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადაზიდვის ხარჯისა და 10% პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

926 10—1 მომარაგების სამინისტრო.

---

## გორის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ღვინობისთვის 20-ს ამა წლის მოწვეულია

### გორის სამაზრო ერობის ხმოსანთა კრება ქ. გორში.

დღის წესრიგი:

I. კრილობის გახსნა.
  1. გამგეობის თავმჯდომარეს მოხსენება (საერთო მიმოხილვა საერობო მუშაობისა).
  2. კომისიების არჩევა.

II. გამგეობის მოხსენება:
  1. ადმინისტრატიული და სამხედრო საქმე მაზრაში.
  2. საადგილ-მამულო და სამიჯნაო განყოფილება.
  3. გზების საქმე.
  4. სახალხო განათლება. აღდგენა მიწისძვრისაგან დანგრეულ სკოლებისა და ახალ სკოლების შენება. სკოლის გარეშე განათლება.
  5. საზოგადოებრივი ქველმოქმედება.
  6. მედიცინა (სამაზრო სანიტარია, სარაიონო მკურნალობა, სანატორიუმი, ლაბორატორია).
  7. ვეტერინარია.
  8. საზოგადო აგრონომია.
  9. ერობის ეკონომიები.
  10. ერობის სატყეო მეურნეობა.
  11. საერობო ფოსტა და ტელეფონი.
  12. ეკონომიური განყოფილება: მუნიციპალური მრეწველობა და ვაჭრობა (სამხედრო ქარხანა და ხე-ტყის დამზადება, საპნისა და ტყავის ქარხნები, საწყობი და მაღაზიები) ტრანსპორტი.
  13. საერობო სტატისტიკა.
  14. ერობის პერიოდული გამოცემა.
  15. ერობის საკუთარი უზნის აშენება გორში.
  16. ერობის ფინანსები.
  17. სარწყავი არხები: ტირიფონის ველი და დოლლაური.
  18. ტყის კულტურა მაზრაში.
  19. დაგეგმა მიწის ძვრისაგან დანგრეულ სოფლებისა.
  20. ცხინვალის რკინის გზა.
  21. ერობათა კავშირი.
  22. პროექტი სათემო დებულებისა. თემების ფინანსები. საკითხი ერობისა მთაოსეთში.
  23. დაარსება ახალ თემებისა და გასწორება საზღვრებისა.
  24. რეკვიზიციები.

III. ხარჯთაღრიცხვა 1920-1921 წლ.

IV. 1. გამგეობის ანგარიში (1 აპრილიდან 1919 წ. 1 ივნისამდე 1920 წ.)
  2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

V. არჩევნები.

928 3—1

---

## გურიის სავაჭრო ბანკის გამგეობა

### ქ. ლანჩხუთში

ამით აცხადებს რომ,

### ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება,

1920 წლის 26 სექტემბრიდან, თანახმად დადგენილებათა, საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა, 1920 წლის 2 მაისიდან და 1920 წლის 26 სექტემბრიდან, ერთის მხრით და გურიის სავაჭრო ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრების, 26 სექტემბრიდან 1920 წლ., მეორე მხრით, გადაკეთდა

### გურიის სავაჭრო ბანკათ ქ. ლანჩხუთში 3.000.000 მანეთის ძირითადი თანხით

და ამ უკანასკნელმა დაიწყო რა მოქმედება თანახმად ფინანსთა მინისტრის მიერ 1920 წ. 17 სექტემბერს დამტკიცებულ წესდებისა, მიიღო ყოფილი საზოგადოების აქტივი და პასივი ყველა უფლება-მოვალეობით. ამის გამო ყველას, ვისაც რაიმე ანგარიშები აქვს ყოფილ საზოგადოებასთან შეუძლია ეს ანგარიშები განაგრძონ გურიის სავაჭრო ბანკთან.

3005 3—2

---

## მთავარი საინჟინერო საწყობი ამით აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს დილიდან არსენალში მანქანის ნაწილების გადასატანათ (3.000 ფუთი) დანიშნულია იჯარით აღების ხალხით შეჯიბრება, რომელიც მოხდება საინჟინერო საწყობის სამწერლოში დილის 11 საათზე, მსურველებმა უნდა წარმოადგინონ გარდა პირადობის მოწმობისა 20% განცხადებულ ფასისა. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე საინჟინერო საწყობის სამწერლოში (არსენალი).

3043 3—1

---

## ტფილისის პოლიტეხ. სასწავლებელი

აცხადებს, რომ 25 ოქტომბერს დილის 12 საათზე სასწავლებლის შენობაში დანიშნულია

### საჯარო ვაჭრობა

შემდეგი საგნების გასაყიდათ:

1. გირაგები, 2. წნეხები, 3. ჩარხები სახარატო და საბურღავი, 4. ქურები, 5. ვარცლები, 6. გრდემლები, 7. დაზგები, 8. საწოლები, ლეიბები, ბალიშები, 9. სამზარეულოს ჭურჭლეულობა და სხვა. დაწვრილებითი პირობების მიღება შეიძლება 18 ოქტომბრიდან 12—2 ს., დიდი მთავრის ქ., № 70

3049 1—1

# სახელმწიფო თეატრი

8 ოქტომბერს 1920 წ.

## ევგენი ონეგინი

მონაწილეობენ: სპრიშევსკაია, ერმოლინსკაია, პანინა, ოკსიანიკუკი, სარაჯიშვილი, ბალახანი, საბინინი, კუროპატკინი, ქუთუბული, დემიანენკო.

9 ოქტომ. 1920 წ. ოპერა მუშებისათვის

**სევილიელი დალაქი**

919 1—1

10 ოქტომბერს 1920 წ.

**რიგოლეტტო**

ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

# საქართველოს ლაშქრის მთავარი საინჟინერო საწყობი

ამით აუწყებს მსურველთ, რომ შაბათს 16 ოქტომბერს, დილის 10 საათზე აღნიშნულ საწყობში დანიშნულია წინასწარი ვაჭრობა სამხედრო უწყების ძველ თვითმავალებზე. შეჯიბრების შედეგს დამტკიცება უნდა მოჰყვეს ტექნიკურ სექციისაგან. მსურველებმა უნდა შეიტანონ ვაჭრობის დაწყებამდე განცხადება და 10% გასაყიდი თვითმავალის შეფასებულ ჯამისა საჯარო ვაჭრობის თავმჯდომარის სახელზე. ავტომობილების ძირების და მანქანების დათვალიერება შეიძლება იმავე საწყობში (არსენალი) 9-დან 12 საათამდის ა. წ. 12 ოქტომბრიდან.

3043 3—1

## ოფიციალური განყოფილება.

# ბრძანებანი

### მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

18 აგვისტო, 1920 წ., № 300.

**დაინიშნა:** ტექნიკი მიწის-მზომელი იაკობ პეტრეს ძე ავალიშვილი ახალქალაქის სარაიონო საგადასახლებო საქმის გამგის თანაშემწეთ ა. წ. 15 აგვისტოდან.

19 აგვისტო, 1920 წ., № 301.

**დანიშნულია:** დავით იაკობის ძე თედეშვილი სახელმწიფო მამულთა განყოფილების გამგის ამხანაგათ, 15 აგვისტოდან.

**განთავისუფლებულია:** ამ თანამდებობის ასრულებისაგან და ჩარიცხულია განყოფილების უფროსს სპეციალისტათ ერმილე კაციას ძე ნაკაშიძე 15 აგვისტოდან.

**დანიშნულია:** დროებით ჯარში გაწვეული ივანე ჯაფარიძის მაგიერ საქმის მწარმოებლის თანამდებობის ასრულებლად არჩილ ნიკოს ძე მიქაშავიძე 15 აგვისტოდან.

**განთავისუფლებულია:** დროებით წინანდლის სარდაფის გამგის თანამდებობიდან და დაბრუნებული თავის თანამდებობაზე მუკუზნის სახელმწიფო მამულის მევენახედ ბაკურაძე 12 ივნისიდან.

23 აგვისტო, 1920 წ., № 302.

**ინიშნება:** გადასახლების განყოფილების აგენტათ ვასილ გრიგოლის ძე ფურცელაძე ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 303.

**დანიშნულია:** იონა ფილიპეს ძე სირია საინსპექტორო განყოფილების საქმის მწარმოებლად 23 აგვისტოდან.

24 მარიამობისთვე, 1920 წ., № 304.

**ინიშნება:** ტყიბულის სატყეოს ტყის გამგე გიორგი გიორგის ძე მხეიძე, ბათომის რაიონის ტყის რევიზორად და ბათომის სატყეოს გამგედ.

26 მარიამობისთვე, 1920 წ., № 305.

**ინიშნებიან:** ვასილ იასეს ძე მიქაბაძე და ირაკლი მიხეილის ძე მურვანიშვილი, მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთ.

**დამტკიცებულია:** ბათომის რაიონის ტყის გამგის თანაშემწე აზნაუროვი, მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობაზე.

28 მარიამობისთვე, 1920 წ., № 306.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტყეთა ალმწერი ტექნიკი პეტრე ივანეს ძე ბაჟუკოვი თანახმად მისივე თხოვნისა.

31 აგვისტო, 1920 წ., № 307.

**ინიშნება:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს სავაჭრო საკრებულოს წევრათ ევსევი სამუილის ძე ვოლპერი ამა წლის 30 ივლისიდან.

№ 308.

**ხაზული გამოცხადება:** ტყიბულის სატყეოს ლეჩხუმისა დაერქვას.

31 აგვისტო, 1920 წ., № 309.

**ინიშნება:** სავაჭრო საკრებულოს დროებითი წევრათ ნაუმ მარკოზის ძე კრუკლიკოვი 15 აგვისტოდან.

2 სექტემბერი, 1920 წ., № 400.

**ინიშნებიან:** საიჯარო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე იასონ კონსტანტინეს ძე აბაშიძე, მოინგარიშე ევგენია ვლადიმერის ასული ლემბკე რეგისტრატორი ელენე კაპიტონის ასული ასათიანისა და მოქ. პეტრე გრიგოლის ძე ბუაჩიძე პირველი და მეორე იმავე განყოფილების საქმის მწარმოებლად, მესამე საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ და უკანასკნელი რეგისტრატორათ. ყველანი ამა წლის 1 სექტემბრიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხ. ი. მ.ლანია.

—

### იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორისა.

28 სექტემბერს, 1920 წ., № 347.

**განთავისუფლებულია** იუსტიციის სამინისტროში წარმოგზავნილი ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძე სამინისტროს კანცელარიის უფროსის მოვალეობათა დროებით ასრულებიდან ა. წ. სექტემბრის 27-დან სამინისტროსთან დატოვებით.

29 სექტემბ., 1920 წ., № 352.

შვებულებიდან დაბრუნებული იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის უფროსი ივანე სიმონის ძე ბერიაშვილი შეუდგა თავის მოვალეობათა ასრულებას ა. წ. სექტემბრის 28-დან.

დეპარტამენტის დირექტორი გ. ჟორდანია.

—

### საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ., № 32.

**ინიშნება:** საქართველოს სენატის იასაულად მოქალაქე ვლადიმერ ვასილის ძე ჯაფარიძე, სამსახურისთვის სენატის სისხლის სამართლის-საკასაციო დეპარტამენტში ჩარიცხვით, 1920 წლ. ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს სენატის თავმჯდომარის ამხანაგი ი. ჯაფარიძე.

—

### ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

26 მარტი 1920 წელი, № 17.

**გამწესებულნი არიან.** მოქალაქენი: ვლადიმერ დოლიძე, ნიკოლოზ ბალკანჩალაძე და სერაპიონ ტაბატაძე, ფოსტალიონებათ: დოლიძე—ოზურგეთში, ბალკანჩალაძე—ჭიათურაში და ტაბატაძე საჩხერეში, სამივე მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ. ყოფილი მოხელეები: ლონგინოზ ჭანია ჯიხაიშის კარის ფ.-ტ. განყოფილების უფროსათ, ყოფილი ბათუმის კანტორის მოხელე ალექსანდრე კოპალეიშვილი მეხუთე ხარისხის მოხელეთ ჭიათურაში, ყოფილი ბაქოს კანტორის უმცროს მექანიკოსად ინჟენერი ალექსანდრე მეგრაბოვი უფროს მექანიკოსად ტფილისის ტელეფონის ქსელზე; მეგრაბოვი 27 მარტიდან დანარჩენი 1920 წლის აპრილის პირველიდან.

**დანიშნულნი არიან:** ახმეტის ფოსტის განყოფილების უფროსი არჩილ ხირსელი იმავე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად, სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწე ალექსანდრე ლალიაშვილი პირველი ხარისხის მოხელეთ მესამე სამოქალაქო განყოფილებაში, ტფილისის ფოსტის მეხუთე ხარისხის მოხელე კონსტანტინე კავკასიძე ეკატერინოფელდის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად, ეკატერინოფელდის განყოფილების მეექვსე ხარისხის მოხელე აქსენტი ბალანჩივაძე ბაშკიჩეთის განყოფილების უფროსად დროებით. ეკატერინოფელდის განყოფილების უფროსი სერგო ხოხიაშვილი და გორის კანტორის ფოსტალიონი სიმონ ტერ-პეტროსოვი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: ხოხიაშვილი სამტრედიაში მეოთხე ხარისხით და ტერ-პეტროსოვი ცხინვალში მეექვსე ხარისხით; ლალიევა იანვრის პირველიდან, ხირსელი 26 მარტიდან, ბალანჩივაძე 29 მარტიდან, დანარჩენი პირველ აპრილიდან 1920 წლისა.

**გადაყვანილნი არიან:** ზედამხედველები დაბალი ჯამაგირისა: ტფილისის ტელეგრაფის ანდრია ჯამბურია, ჯიქსუს განყოფილების სევერიან მჟავარიშვილი, ფოსტალიონები: ბორჯომის—იოსებ პატარქალიშვილი, თელავის გრიგოლ კუხალაშვილი, მოხელეები: ქუთაისის სამოქალაქო განყოფილების—მარიამ ციკორიძე, სამტრედიის მე 4 ხარ. კაპიტონ გუგუჩია და გორის პირველი ხარ. ნიკოლოზ კულიჯანოვი იმავე წოდებებით თანახმად თხოვნისა: ჯამბურია—სამტრედიაში, მჟავარიშვილი—ფასანაურში, პატარქალიშვილი—თელავში, კუხალაშვილი—ბორჯომში, გუგუჩია—ზუგდიდში, ციკორიძე და კულიჯანოვი ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფში, სულ შვიდივე 1920 წლის აპრილის პირველიდან.

**დათხოვნილნი არიან:** საჩხერის განყოფილების ფოსტალიონი ლევან ჭანტურია და ოზურგეთის კანტორის ფოსტალიონი იასონ რუსია; ჭანტურია აპრილის პირველიდან, რუსია თანახმად თხოვნისა 1920 წლის მარტის ოცდა სამიდან.

**გამორიცხული არიან:** მეოთხე ხარისხის მოხელე სოხუმის კანტორისა პეტრე თვაური სამხედრო სამსახურში მიღების გამო 1920 წლის მარტის პირველიდან.

**დამტკიცებულია სახელმწიფო სამსახურში.** დროებით ასრულებელი მეექვსე ხარისხის მოხელისა ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფის კანტორაში გრიგოლ ანანიაშვილი თანახმად 317 მუხლ. სამსახურის დებულებისა, გამოცემული 1896 წელსა, 1918 წლის იანვრის რვიდან.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

—

### ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

29 სექტემბერი, 1920 წ., № 81.

**დათხოვნილია** სრულიად სამსახურიდან ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟოს ნაწილის მდივნის თანამდებობის ასრულებელი გრიგოლ მიხეილის ძე ხაინდრავა ამა წლის 28 სექტემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის ასრულებელი ს. ავალიანი.

—

### ტფილისის მე-5 უბ. მომრიგებელ-მოსამართლისა.

I.

**დათხოვნილია** სამსახურიდან გადამწერი პეტრე ბესარიონის ძე ბახტურიძე, თანახმად მისი თხოვნისა, ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

II.

**დაინიშნა** ჩემდამი რწმუნებულ კანცელარიაში გადამწერად ნ. ს. მოსიძე ამა წლის 1-ოქტომბრიდან.

მომრიგებელი მოსამართლე მაჭავარიანი.

—

### ჭრებალოს უბნის მომრიგებელ მოსამართლის.

№ 4.

**დაინიშნა** ჭრებალოს უბნის მომრიგებელ-მოსამართლის კანცელარიაში გადამწერად მოქალაქე ანტონ გიორგის ძე ცხვედიანი 1 სექტემბრიდან ამა 1920 წ.

მომრიგებელი-მოსამართლე მ. გოცირიძე.

—

### ამაშუკეთის უბნის მომრიგებელ-მოსამართლის.

დათხოვნილია სამსახურიდან სრულიად თანახმათ თხოვნისა მდივანი ი. ანდრიას ძე კობახიძე 1 ივლისიდან ამა წლისა. ინიშნება მდივნად ამავე სასამართლოში ი. ბ. ამაშუკელი ამავე რიცხვიდან. ამავე წლის 1 სექტემბრიდან დათხოვნილია სამსახურიდან გადამწერი პ. ჩხეიძის ასული. ინიშნება გადამწერათ კ. გ. ბარბაქაძე ამავე რიცხვიდან. დათხოვნილია თანახმად მისი თხოვნისა გზირი ტ. ბარბაქაძე 20 აპრილიდან ამა წ. ინიშნება გზირათ პ. ს. სახუაძე, ამავე 20 აპრილიდან.

მომრიგებელი მოსამართლე მ. შოთაძე

## არა ოფიციალური განყოფილება.

# დროებითი წესდება

### ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობისა სამთაბარო რქიან მსხვილ საქონელზედ.

1. საქონლის პატრონები თემის წარმომადგენელთან ერთად წინდაწინვე ნიშნავენ საქონლის იალაღზედ (საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზედ) წასასვლელ დროს.

2. საქონელი გადის სოფლიდგან ან ერთად, ან ცალცალკე ნახირებად.

3. როდესაც მთელი თემი მიემგზავრება იალაღზედ მას თან მიჰყვება თემის წარმომადგენელი, როდესაც მიემგზავრება ცალკე სოფელი, თან მიჰყვება თემის წარმომადგენელი ან საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი.

4. თემის გამგეობა 15 დღით ადრე წარუდგენს მაზრის ერობის გამგეობას საკომლო სიას იმ საქონლის პატრონებისას, რომელნიც ერთად მიემგზავრებიან იალაღზედ. ყოველ ამგვარ სიაში ნაჩვენები უნდა იყოს რიცხვი საქონლისა თვითეულ საქონლის პატრონისა, გზა, სახელი იალაღისა და სახელი საძოვრისა იალაღზედ, დრო გამგზავრებისა და აგრეთვე ის პირი, რომელიც მისდევს მათ თანახმად მე 4 § ამ წესდებისა.

5. მაზრის ერობის გამგეობა სიებს გადასცემს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს, რომელიც გასინჯავს რა საქონელს და დარწმუნდება მის სისაღეში ჭირის მხრივ, ნებას აძლევს იალაღზედ წასვლისას, რაზედაც ხელს აწერს იმავე სიაში და გადასცემს მას თემის გამგეობას იმ პირის ჩასაბარებლად, რომელიც მიყვება საქონელს.

**შენიშვნა 1.** იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ არ მოიპოვება ექიმი-ვეტერინარი, საქონლის გარეკა იალაღზედ შეიძლება თემის მოწმობით.

**შენიშვნა 2.** იმ სოფელში რომლებიც მიემგზავრებიან იალაღზედ, საქონლის გასინჯვა სავეტერინარო პერსონალს შეუძლიან დაიწყოს 1 მარტიდგან.

6. ყოველი ნახირი სამთაბარო საქონლისა გადის სოფლიდგან დანიშნულ ვადაზედ. თუ რომ ამ დროსთვის მიმავალ ნახირში მოხდა საქონლის რიცხვში ცვლილება რაიმე მიზეზით, თემის წარმომადგენელი, ან ამორჩეული პირი აღნიშნავს ცვლილების მიზეზს, და თუ მოკვდა, დაუყოვნებლივ ატყობინებს ექიმ-ვეტერინარს სიკვდილის მიზეზის გამოსაკვლევად.

7. საქონლის გამგზავრებას სათემოდან სხვა მაზრაში, თემის გამგეობა აცნობებს იმ მაზრის ერობის გამგეობას. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ატყობინებს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს.

8. მეოთხე § მოხსენებული საქონლის სია როგორც გზაში, აგრეთვე მთაში, წარედგინება ექიმ-ვეტერინარს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საქონლის ზედამხედველობა მთაში.

9. სოფლის ადმინისტრაცია მოვალეა არ გაუშვას საქონელი იალაღზედ უმოწმობოთ, რომელიც მოხსენებულია მე-5 §-ში და შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, როდესაც მთაში მისულ საქონელს არ ექნება აღნიშნული მოწმობა, ექიმი-ვეტერინარი, გააჩერებს რა საქონელს იალაღზედ ერთ ადგილას, თვალყურს ადევნებს ათი დღის განმავლობაში და აძლევს საქონლის პატრონს სამართალში.

10. საქონლის გარეკა იალაღზედ ვეტერინარის ნება დაურთველად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იალაღი მდებარეობს იმ სოფლის არემარეში, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება და როდესაც, როგორც თვითონ სოფელი აგრეთვე იალაღიც უშიშარია ჭირის მხრივ.

11. თემის წარმომადგენელს და იმ ამორჩეულ პირთ, რომელნიც მიყვებიან საქონელს, ეკისრებათ: შეინახონ იალაღზედ წასვლის ნებართვის მოწმობა, იარონ დანიშნული გზით, წარუდგინონ საქონელი ექიმ-ვეტერინარს გასაშინჯავად და თვალყური დაიჭირონ საქონელზედ მთაბარობის დროს.

12. დაჭირიანებულ სოფლიდგან იალაღზედ საქონლის გარეკა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ საკმარისი არაა საქონლისთვის საჭმელი და წყალი. საქონელს თან გაჰყვება კომისია, მოათავსებს საქონელს მახლობელ საძოვრებზედ განცალკევებულ ადგილს, სადაც საკმარისი იქნება საჭმელი და წყალი, და დარჩება იქ ჭირის მოსპობამდე.

13. საქონელი მიემგზავრება იალაღზედ და ბრუნდება უკან ბარში დანიშნული გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ასცდება ნაჩვენებ გზას, ადგილობრივი მილიცია მოვალეა მოაბრუნოს დანიშნულ გზაზედ.

14. იალაღზედ დაბინავებულ საქონელს თვალყურს ადევნებენ თემის წარმომადგენელნი და სოფლის საზოგადოებისაგან ამორჩეულნი პირნი.

15. ერთი იალაღიდან მეორეზედ საქონლის გადარეკა შეიძლება მხოლოდ ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის ნებართვით.

16. იალაღები იყოფება რაიონებად, რო-

მელსაც ზედამხედველობენ: ექიმი-ვეტერინარი, ერობის გამგეობის წარმომადგენელი და მათთან დანიშნული მილიციონერები.

17. საქონლის დაბრუნება იალაღიდან უკანვე ბარად სწარმოებს იმავე წესრიგით.

18. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი მიემგზავრება მეზობელ რესპუბლიკების იალაღზედ, მაზრის ერობის გამგეობა წარმოუდგენს შ. ს. ს. ვეტ. სანიტ. განყოფილებას არა უგვიანეს 15 მარტისა იმ სოფლების ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარისაგან შემოწმებულ სიას, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება; სიაში აღნიშნავს მაზრას და იალაღს, სადაც საქონელი მიდის. შ. ს. ს. ვეტ. სანიტ. განყოფილება გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით უგზავნის სიებს მეზობელ რესპუბლიკის მთავრობას.

19. მეზობელ რესპუბლიკიდგან სამთაბარო საქონლის შემოშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ადგილები, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება უშიშარი იქნება ჭირის მხრივ ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის შემოწმებით და ამასთანავე წინდაწინვე ნაჩვენები გზებით, ეს გზები იმყოფება ადგილობრივ მთავრობის ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ.

20. ამგვარ გზებად ითვლება:

სომხეთის რესპუბლიკიდან:

1. სოფ. ყარზახი, ახალქალაქის მაზრისა.
2. სოფ. ტროიცკოე, ახალქალაქის მაზრისა.
3. ალლალის ულელტეხილი, ბორჩალოს მაზრისა.
4. ბეზობლადის ულელტეხილი სოფ. შაგალის ახლოს, ბორჩალოს მაზრისა.

ადერბეიჯანიდან:

განჯის გუბერნიიდან.

1. სოფ. ქორფლიდან სოფ. ლამბალოზედ, ბორჩალოს მაზრისა.
2. წითელი ხიდით მდ. ხრამზედ, ბორჩალოს მაზრისა.
3. სად. ფოილოზედ, ტფილისის მაზრისა.
4. დ. ლაგოდეხზედ, სიღნაღის მაზრისა.

21. გზების დანიშვნას რესპუბლიკის მთავრობა აცნობებს იმ მეზობელ სახელმწიფოს ადმინისტრაციას, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება.

22. ცხვრის ფარის გარეკა საზაფხულო იალაღზედ და უკანვე დაბრუნება ბარად სწარმოებს დაუბრკოლებლივ.

განყოფილების გამგის თანამდ. აღმასრულებელი **დ. ახმეტელი.**

# მთავრობაში

**უკანასკნელი დადგენილებანი.**

**დახმარების საკითხი.**

შეტანილ იქმნას დამფუძნებელ კრებაში პროექტი სამხედრო უწყების შრომის უნარ დაკარგულთათვის დახმარების აღმოჩენისა.

**მფრინავების ჯილდოს გადიდება.**

გაუდიდონ მფრინავებს ჯილდო (პრემია) 100%. სამხედრო სამინისტროს დაევალა შეიმუშავოს სათანადო პროექტი და წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

**მომარაგების საქმე.**

1. ნება-დართულ იქმნას რესპუბლიკის საზღვრებში პირადი საჭიროებისათვის ხუთი ფუთი ქერისა და ხორბლის გატანა იმ პირისთვის, რომელსაც სურს თავის მაზრიდან ხორბლის გამოტანა. ნებართვა უნდა აიღოს ერობიდან! ვისაც თავის ხორბალი არა აქვს, თუ სათანადო მოწმობა ექნება თავისუფლად შეუძლია მაზრის სადგურებზე იყიდოს ხორბალი 2. ვინც ამ წესებს არ შეასრულებს და ისე მოინდომებს ხორბლის გამოტანას მას ხორბალი ჩამოერთმევა და თვით პასუხისგებაში მიეცემა. ეს დადგენილება უნდა ეცნობოს ყველა ერობებს.

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

**კომერციული დამოკიდებულება რუსეთთან.**

„დეილი ტელეგრაფი" სწერს: ბრიტანეთის მთავრობას გულწრფელად სურს საბჭოთა რუსეთთან კომერციული დამოკიდებულების აღდგენა. ამისათვის საჭიროა დარწმუნდეს ინგლისი, რომ მის მიერ გაგზავნილი საქონელი და სურსათი მიუვა მცხოვრებლებს და არ მოხმარდება სამხედრო მიზნებს.

**რკინის გზის ტარიფის კანონი.**

გამოქვეყნდა კანონი რკინის გზის ტარიფის გადიდების შესახებ. ბარგის გადატანის ტარიფი 40% გაძვირდა, გაძვირდა 29—33%.

**რუსეთის საშინაო მდგომარეობა.**

„ტანი"-ს წერილში რუსეთის საშინაო მდგომარეობა" იუწყება, რომ ტროცკის ბრძანებით მოსკოვის გარნიზონი გააძლიერეს კომუნისტების დივიზიით. ეს გამოიწვია ლალატის ხშირმა შემთხვევამ. პროვინციის ქალაქებიდან ხშირად მოდის ცნობა მცხოვრებლების უკმაყოფილებაზე საბჭოთა მთავრობით. ადგილობრივი კომისრები იძულებული ხდებიან ხოლმე გამოითხოვონ შეიარაღებული ძალა განსაკუთრებით უკმაყოფილება ეჩნევა მუშებს.

**დამალულ რუს გენერლის განცხადება.**

„ტანი" აქვეყნებს „ბერლინერ ტაგებლატიდან" გადმობეჭდილ საუბარს ერთ-ერთ რუსის გენერალთან, რომელიც თავისი შტაბით გერმანიის ტერიტორიაზე დაიმალა. რუსის გენერალმა და მისმა ოფიცრებმა განაცხადეს, რომ ისინი წითელ ჯარში პოლონეთის სიძულვილის გამო შევიდნენ. წითლების დამარცხების მიზეზი მათ სწრაფ წინსვლაში უნდა ვეძიოთ. ასეთი შეტევის გამო მოწინავე ნაწილებმა დაკარგეს კავშირი ცენტრთან და თავის ზურგთან მცხოვრებლებმა რუსეთის არმიის ზურგს უკან დაანგრიეს ყველა გადასატანი საშუალება. ერთ-ერთი მიზეზთაგანი დამარცხებისა იყო აგრეთვე სამხედრო მასალის ნაკლოვანება. დამარცხებამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის არმიაზე, ვინაიდან მან დაკარგა სამხედრო მასალის უდიდესი ნაწილი. შეეხო რა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას, გენერალმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის მდომარეობა მოსკოვში მეტად მტკიცეა. ვარშავასთან დამარცხებას არ შეუმცირებია მისი ავტორიტეტი. გენ. ვრანგელს რუსეთში დიდ ანგარიშს არ უწევენ და არც სწამთ, რომ მის შეტევას სერიოზული ხასიათი ექნება, მით უმეტეს მის შემდეგ რაც ბოლშევიკებმა კოლჩაკი და დენიკინი დაამარცხეს. გენერალმა დასასრულ განაცხადა, რომ რუსეთი არასდროს არ დასთანხმდება დანციგის პოლონეთზე შეერთებაზე, ვინაიდან ეს დააბრკოლებს რეგულიარულ დამოკიდებულებას გერმანიასა და რუსეთს შორის და უკანასკნელი დამოკიდებული იქნება პოლონეთიდან. დანციგი რაც არ უნდა დაჯდეს გერმანიას უნდა დაუბრუნდეს.

**უცხოელების დაპატიმრება.**

გენუის პოლიციამ დიდძალი უცხოელები დააპატიმრა: განსაკუთრებით რუსები და უნგრელები. დაპატიმრებულთ აღმოაჩნდა დიდძალი თანხა რომლის დანიშნულება მათ არ დაასახელეს.

# ახალი ამბები

✦ **მისალმება ჯარისადმი.** სამხედრო სამინისტროს სახელზე მოსულია ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მესამე ყრილობისაგან ჯარისადმი მისასალმებელი დეპეშა.

✦ **შავი ქვის დამუშავების გაუმჯობესება.** შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას განზრახული აქვს შეიძინოს გაუმჯობესებული იარაღები შავი ქვის დასამუშავებლად. ამავე დროს უკვე დაიწყეს ქარხნებისა და ქუჩა, აბანო ხიდების შეკეთება. რომელიც შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას ეკუთვნოდა.

✦ **სურსათ-სანოვაგის მიწოდება მუშებისათვის.** მუშათა მაგიდის რწმუნებული გაემგზავრა ბორჩალოში მუშათა მაგიდის საჭირო ნახშირის და შეშის დამზადების საკითხის მოსაწესრიგებლად.

✦ **საავადმყოფოთა კასების წარმომადგენელთა კონფერენცია.** ქალაქის საავადმყოფოთა კასის გამგეობამ დაადგინა: მოიწვიოს რესპუბლიკის კასათა წარმომადგენლების კონფერენცია. გადაწყდა აგრეთვე კონფერენციის მომწყობ კომისიაში აირჩიონ საქართველოს და ტფილისის პროფესიონ. კავშირის საბჭოთა წარმომადგენლები. კონფერენციაზე გასარჩევი საკითხები უკვე აღნიშნულია.

✦ **საფრანგეთის მისიის განცხადება.** საფრანგეთის მისიამ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს განუცხადა: საინფორმაციო განყოფილების ცნობაში ბათომის ბოლშევიკების შესახებ შეცდომით აღნიშნულია, თითქოს სომხეთის ქვეშევრდომი მარგოსიანცი ყოფილი ოფიცერი იყოს. მარგოსიანცს, როგორც საფრანგეთში შემდგარ სომეხთა ლეგიონის უნტეროფიცერს, დამოკიდებულება ჰქონდა ბათომში საფრანგეთის მისიასთან. საფრანგეთის მისიას ამასთანავე მისი საქციელის გამო ეჭვები დაებადა მასზე, რაც ეცნობა საქართველოს მთავრობას, რომელმაც მას თვალყურის დევნა დაუწყო და რასაც მასი დაპატიმრება მოყვა.

✦ **ბათომის ნავთსადგურში.** ბათომის ოლქის საგანგებო კომისარმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აცნობა და უარყო ის ხმები თითქოს ბათუმის ნავთსადგურში უცხოელთა მრავალი სამხედრო გემი იდგას და თითქოს ამას კავშირი ჰქონდეს ვრანგელის ფრონტზე წარმოებულ ოპერაციებთან. გ. ჩხაკვიშვილი იტყობინება, რომ ამ ხმებს პროვოკაციული ხასიათი აქვს, ვინაიდან ნავთსადგურში ამ ჟამად სდგას 4 სამხედრო გემი და არასოდეს არ ყოფილა ხუთზე მეტი.

✦ **პური.** ბორჯომის ქალაქის თვითმართველობამ აცნობა შინაგან საქ. სამინისტროს, რომ მან მიიღო თავის თავზე მცხოვრებლებისათვის პურის მიწოდების საქმე. კერძო ფურნეები დაიხურა. მცხოვრებლებს ეძლევა ქალაქის თვითმართველობისაგან პური გირვანქა 30 მანეთად. ქალაქის თვითმართველობა სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარი დაუჭიროს მის შუამდგომლობას მომარაგების სამინისტროსთან საჭირო ხორბლის რაოდენობის მოწოდების შესახებ.

✦ **ჯარის კაცის ულუფა.** მთავრობამ მოისმინა მოხსენება სამხედრო უწყების მოსამსახურეთათვის და კერძო დაქირავებულ პირთათვის ჯარის კაცის ულუფის მიცემის შეწყვეტის შესახებ და შეიწყნარა რა ეს მოხსენება დაადგინა ასეთ მოსამსახურეთ ამიერიდან სურსათი მიეცეთ მუშათა მაგიდიდან საერთო წესით. იმ რაიონებში კი სადაც მუშათა მაგიდა არ არსებობს, მოსამსახურეთ მიეცეთ სამხედრო უწყებიდან ულუფა მაგრამ მუშათა მაგიდის ნორმის მიხედვით.

✦ **მისალმება მთავრობის თავმჯდომარეს.** სოფ. ჩხარიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა არის მოსული: „ჩხარის რაიონის გვარდიელთა ყრილობა გიგზავნით თქვენ მხურვალე სალამს. ჩვენ მზათა ვართ დავღვაროთ სისხლი რესპუბლიკის და საერთაშორისო პროლეტარიატის იდეების დასაცავათ. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს. გაუმარჯოს ინტერნაციონალს. თავმჯდომარე გამყრელიძე.

✦ **რადიო ტელეგრაფი და რადიო ტელეფონი.** შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებამ მიმართა მთავრობას წინადადებით ძლიერ რადიო სადგურის მოწყობის შესახებ, რომლის საშვალებითაც შესაძლებელი იქნება ლონდონთან და პარიზთან უშუამავლოთ დამოკიდებულების დაჭერა—ამასთანავე განზრახულია რადიო ტელეფონის მოწყობა, რომლის მომქმედი რადიუსი 600 კილომეტრი იქნება. შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება წინადადებას იძლევა განახორციელოს ეს მთავრობამ მასთან ერთად საკონცესიო საფუძველზე.

✦ **შაბიაბანი.** შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებამ გადასცა მიწათ-მოქმედების სამინისტროს 33.000 ფუთი ინგლისური შაბიაბანი მეტად იაფ ფასებში. შაბიაბანი რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობისათვის არის დანიშნული.

✦ **ხელფასი.** შრომის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა შემდეგი ცნობით: ვინაიდან პირველი საჭიროების საგნები მეტად გაძვირდა, ამიტომ დაწესებულია საშუალო შრომის ხელფასი ქალაქის მუშებისათვის 5.000 მან. სოფლის მუშებისათვის კი 4.800 მან., ამასთანავე ერთად შრომის სამინისტრო წინადადებას იძლევა გადასინჯოს დასახიჩრებულ ჯარისკაცთა დახმარების ნორმებიც.

✦ **15 სექტემბრის ხელფასი.** შრომის სამინისტრო აცხადებს, რომ ტფილისში სოციალ. დელეგაციის ჩამოსვლის დროს, სექტემბრის 15-სათვის ხელფასი მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ უკლებლივ, მიუხედავათ იმისა მუშაობდნენ ისინი ამ დღეს თუ დღესასწაულში იღებდნენ მონაწილეობას.

✦ **მომრიგებელი კამერა.** შრომის სამინისტრომ ქუთაისისა, სოხუმისა და ბათომის მომრიგებელ კამერების თავმჯდომარეებს, წინადადება მისცა წარმოადგინონ მომავალში ყოველთვიურად ანგარიში მათი მოქმედების შესახებ.

✦ **ჯამაგირების გადიდება.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა ჭიათურის ქალაქის თვითმმართველობის დადგენილება ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ.

— **სომეხთა მიტინგი.** ოქტომბრის 6 ტფილისში მოწყობილ სომეხთა მიტინგზე სიტყვა სთქვა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ. მან აღნიშნა, რომ ოსმალეთის თავდასხმა სომხეთზე თანასწორად ეხება სომხეთსა და საქართველოს. ქართველი და სომეხი ხალხი მჭიდროთ უნდა შეკავშირდენ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დემონსტრაციაში მონაწილეებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს ლომთათიძეს. თავისუფლების მოედანზე სიტყვა წარმოსთქვა სახალხო გვარდიის უფროსმა.

— **აკ. ჩხენკელის აფხაზეთში მიწვევა.** დამფუძნებელ კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის თავმჯდომარეს აკაკი ჩხენკელმა აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარის ემუხვარის ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „შეგიძლიანთ თუ არა თანახმად შეპირებისა მობრძანდეთ. თქვენი მოსვლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს". აკაკი ჩხენკელმა უპასუხა: „სამწუხაროდ ჩემი ჩამოსვლა სხვა დროისათვის უნდა გადავდო. ხელს მიშლის ფეხის ტკივილი".

✦ **სავაჭრო დამოკიდებულება.** მიწადმოქმედების სამინისტრომ გერმანიიდან და საფრანგეთიდან მიიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღების ერთი პარტია, განსაკუთრებით მებაღეობისა და მევენახეობისათვის საჭირო. ამ იარაღების ყიდვა შეიძლება მიწად-მოქმედების სამინისტროს მუშტაიდის საწყობში.

# საქართველოს გარშემო.

„ტანი" სწერს: ამიერ-კავკასიაში მდგომარეობა ისეთია, რომ აუცილებელია ყველა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი და გაერთიანება რუსეთის და ოსმალეთის საშიშროების ასაცდენად. აზერბეიჯანის მაჰმადიანები საქართველოს სთვლიან ბუნებრივ მოკავშირეთ. შემდეგ „ტანს" მოყავს ხან-ხოილის სიკვდილის ფაქტები და აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები, რათა აღარ განმეორდეს ტერორისტული აქტები იმ პირთა წინააღმდეგ რომელნიც აზერბეიჯანის სათავეში იყვნენ.

„სტამბოლი" იუწყება; საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა ბათომში ყოფნის დროს განაცხადა: საქართველოს მთავრობა არ შეიწყნარებს საბჭოთა რუსეთის მის შინაურ საქმეებში ჩარევას და არც საქართველოს ბოლშევიკებს მიეცემა ნება სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოებისაო.

# ერობა

**გურიის ერობაში.**

გამგეობამ სტიპენდიები დაუნიშნა თვეში 5.000 მან. შემდეგ სტუდენტებს სახელმწ. უნივერსიტეტისა ტ. ღლონტს და მიხ. ბაქუნაიშვილს და პოლიტეხნიკური ინსტიტუტისა გ. ჩხატარაიშვილს იმ პირობით, რომ ისინი ვალდებულნი არიან სწავლის დასრულების შემდეგ საერობო უწყებაში იმსახურონ ხუთ-ხუთი წელი და საზაფხულო არდადაგებზედაც ერობის განკარგულებაში დარჩნენ.

— ერობამ ლიხაურის თემის გამგეობას 10.000 მან. დახმარება აღმოუჩინა მდ. ბჟუჟზე ხიდის აგებაში.

— ერობის მიერ გამართული 2-თვიანი სამასწავლებლო კურსები დასრულდა 5 სექტემბერს. გამოცდები ჩააბარა და სახალხო სკოლის მასწავლებლის ღირსება მიიღო 77 კაცმა, რომელთა საბუთები უკვე წარედგინა განათლების სამინისტროს დასამტკიცებლათ.

— ერობის გამგეობა ახდენს თავის ცენტრალურ საავადმყოფოს რევიზიას; რევიზია მინდობილი აქვს გამგეობის წევრს შ. ჰოჭუას სათანადო პირთა დახმარებით.

— იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე ერობის გამგეობამ აცნობა ამ სამინისტროს, რომ მას არა თუ არაფერი აქვს საწინააღმდეგო, პირიქით სასურველადაც მიაჩნია, რომ ოზურგეთის მაზრა შეტანილ იქნას ბათომის სასამართლოს ოლქის ტერიტორიის ფარგლებში.

— ამ დღეებში თავის ბინაზე თავი მოიკლა ერობის სასურსათო გამგის თანაშემწემ სამს. მენაბდემ; მას დაეწამა საწყობიდან საქონლის მითვისება, გამოძიება სწარმოებს. განსვენებული ენერგიული ყმაწვილი იყო.

**ხუხეინ.**

# ფოსტა-ტელეგრაფში

**სია ჩაუბარებელ დეპეშებისა**

3 ოქტომბერს.

1) ქუთაისიდან—მაჩავლაძეს; 2) სუმბათოვიდან—დომბას; 3) ახალციხიდან—ბაღდასა-

როვს; 4) ლაგოდეხიდან—ბარბარიჩს; 5) ფასანაურიდან—ზაბიანცს; 6) ბათუმიდან—დოლიძეს; 7) ნოტანებიდან—ბახტაძეს; 8) ახალქალაქიდან—ლისიკოვს; 9) შუბუთიდან—ცალიკაძეს; 10) სალოღლიდან—სალამონს; 11) ბათომიდან—შუხდუსაგანს; 12) ცხინვალიდან—ლოტეს; 13) თელავიდან—კალანდარიშვილს; 14) ახალციხიდან—შათირიშვილს; 15) ბათომიდან—ფაიველუკს;

5 ოქტომბრისა.

1) ახალქალაქიდან—აკოპოვს, 2) ცხინვალიდან—ბაბუცაძეს; 3) ჩარიდან—დუტაძეს; 4) ხანაინიდან—ტურკიას; 5) ანაგიდან—მაისურაძეს; 6) პოლენკოვიდან—გლატკის; 7) საჩხერიდან—მგელაძლიშვილს; 8) ხარაგოულიდან—კოპინაშვილს; 9) ტყიბულიდან—ურიზეს; 10) ყაზბეგიდან—მირქოვს; 11) ქუთაისიდან—კორძაიას; 12) ზესტაფონიდან—კობახიძეს;

# სენატი

**საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წლის ოქტომბრის 8 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.**

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საქმე ტატო, სანდრო და ვასო შერაზადაშვილების ანნა შერაზადაშვილთან მამულის თაობაზე.

2) საქმე რუდენ ბუაძის იოსებ კოსტავასთან კერძო მონაწილეობის უფლების თაობაზე.

3) საქმე გახტი კეკუასი ანტონ ქვიცსაძესთან და ალექსანდრე გიორგაძესთან უპიროების ჯარიმის გადახდის თაობაზე.

4) საქმე ელისაბედ ბურცხიკიძისა და მარიამ სარაბიძისა სერგეი ზარნაძესთან მამულის თაობაზე.

5) საქმე მარიამ შუბიქიძის დავით სხირტლაძესთან ადგილის დაცლის თაობაზე.

6) საქმე ზურაბ შუკაკიძისა ერმილე ვასაძესთან ადგილის თაობაზე.

7) საქმე დიმიტრი ზახაროვისა ივანე ვასილჩიკოვთან ბინის ქირის თაობაზე.

8) საქმე კონსტანტინე ყურაშვილის ბეზურაშვილთან და ცფრუმაშვილებთან.

9) საქმე ზაქარია დავიდოვისა ნატალია სუზანჯიანთან პიანინოს თაობაზე.

10) საქმე სავაჭრო სახლის „სავრემენიკის“ თეოდორე მაროზოვთან 1655 მან. 45 კაპ. თაობაზე.

11) საქმე სანდრო და მიხეილ ნიკოლაშვილებისა გელო და კოლა არატუროვებთან მამულის თაობაზე.

# მილიციაში

**საზიზღარი დანაშაული.**

სისხლის სამ. მილიციამ შეიპყრო მიხ. პრ. ყვავილებით ვაჭარი მიკირტუმოვი, რომელიც სისტემატიურად იტყუებდა მცირე წლოვან ქალებს ნამუსის ახდის მიზნით. მიკირტუმოვი შეპყრობილ იქნა დანაშაულობის დროს, როცა აუპატიურებდა არაქელოვაკოპოვის 8 წლის ქალს.

**ქურდობა.**

იმავე მილიციამ შეიპყრო ალ. გულისოვი, რომელმაც მაიორ ყორაშვილს მოჰპარა ნახევარ მილიონ მანეთად ღირებული ნივთები, მისი ფრონტზე ყოფნის დროს; მოპარული ნივთების ნაწილი გაყიდული აღმოჩნდა ქურდი გულისოვი დანაშაულობაში გულწრფელად გამოტყდა რის შემდეგ მილიციას საშუალება მიეცა გაყიდული ნივთების აღმოჩენისაც.

**ქურდის შეპყრობა.**

4 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე ჩერქეზოვის მოედანთან საგუშაგოზე მდგომ მილიციონერმა ახვლედიანმა შეიპყრო ქურდი რეციდივისტი ვასილ პეტროვი რომელსაც აღმოაჩნდა 4 ხავერდის ნოხი, ჩემოდანით ღირებული 200000 მან. ნივთები რომელიც მოუპარავს ტურგენევის ქ. № 2 ვინმე ანდრო პლოტნიკოვის ბინიდან. პლოტნიკოვმა იცნო თავისი ნოხები. დატუსაღებული პეტროვი ნივთებით გაეგზავნა მე-9 უბნის კომისარს, თანახმად 208 მუხლისა სისხლის სამართლის წესისა.

# ისტორიული წერილები

**შამილის საიდუმლოება და ტ. გ. ორბელიანი.**

(გაგრძელება)

ამ ჯაშუშ ქართველებმა ჯერეთ ნივთები, ყარაბინა და ლეკური დაშინჯეს, მერე წერილი გახსნეს და ნახეს, რომ ქართულათ ნაწერი იყო, წაიკითხეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს, რადგანაც წერილი ლეკურის ენით იყო დაწერილი, მათ მოსძებნეს ლეკური ენის მცოდნე, რომელსაც წააკითხეს ეს წერილი. წერილის შინაარსი ასეთი იყო:

საყვარელო და პატივცემულო ძმაო ალექსანდრე, მოკითხვას სიყვარულით მოგახსენებთ, პატიოსანო და კეთილშობილო თავადო იყავით კარგათ და ღვთის დიდებით მე ჩემს თავსა და ძალას მალე გაჩვენებთ თქვენს ქვეყანაში. დიდი ხანია რუსები მებრძვიან, მაგრამ ღვთის დიდებით იგინი ვერაფერს აწყობენ, ვერც გააწყობენ, რადგანაც ეგენი ბოროტები არიან და ყველას დაჭერა და დამორჩილება უნდათ ისე, როგორც ქართველები დაიჭირეს.

მაგრამ ჩვენ ვერ დაგვიჭერენ ასე. ის იარაღი, რაც რუსებს აქვთ, ჩვენ რომ გვქონდეს, იმ იარაღით მათ ისეთ დღეს დავაყენებთ, რომ ორი კვირის შემდეგ მაგათი ხსენება არც ჩემს ქვეყანაში და არც საქართველოში აღარ იქნება, მაინც ძვირფასო ძმაო შენ მოესწრები, რომ ეგენი აქედან და საქართველოდანაც გარეკილები იქნებიან და შენი დავალებაც შესრულდება. მაშინ მეფე ერეკლეს შვილიც აქ გაჩნდება.

მე არ მინდა არაფერი, მე არც ამისი ძალა და ოსტატობა მაქვს, რომ ჩემი და თქვენი ქვეყანა ვმართო, არა, მე ეს ქვეყნები ქართველებისთვის მინდა, მე რუსებს გავაძევებ და ჩემს ქვეყანას და საქართველოს მართვა-გამგეობას ქართველებს ჩავაბარებთ, რომელიც ეხლა აქ ჩვენთან გახლავსთ და ვინც დიდს სალამს და სიყვარულსაც გითვლის.

მხოლოდ თქვენ ქართველებს დაგავალებთ შემდეგს: თუ თქვენ ჩვენ არ გვიშველით, მაშინ ის მაინც ქნით, რომ რუსებთან ერთათ თქვენის ნებით არ შემოყვებით, ბრძოლა არ დაგვიწყოთ, თქვენ თქვენთვის იყავით, ნურც ჩვენ გვიშველით და ნურც რუსებს მიემხრობით. ამას გარდა გავალებთ კიდევ შემდეგს: ოსმალეთიდან ჩვენ საომარ იარაღს ველით, ახალციხის გზით იქნება თქვენი ქვეყნისაკენ გამოატარონ ეს იარაღი ჩვენმა კაცებმა და თუ შესაძლებელი იქნება და რუსთაგან თქვენ არაფერი გევნებათ, მაშინ ამ იარაღის გამტარებლებს მფარველობა გაუწიოთ, რომ მათ რუსებმა არ წაართვან. თუ ეს დავალება თქვენთვის მძიმე იქნეს და რუსების შეგეშინდეთ, მაშინ შორსამისგან ნურაფერს საქმეში ნუ ჩაერევით. თქვენი იმედი გვაქვს, რომ საქართველოში ჩვენს მომხრეობას გაავრცელებთ.

სხვაც ბევრი რამ ყოფილა შამილისაგან ქართველებთან მოწერილი, ჩვენ ეს ვიკმარეთ; ესეც საკმარისია მის საფუძვლათ, რომ ვიცოდეთ ის გარემოება, რომ გმირ შამილთან ქართველებსაც ჰქონიათ კავშირი და მისი გმირობა ქართველთაგანაც ყოფილა დაფასებული და დაცული, თუმცა ხშირათ ისიც ხდება, რომ რუსების დავალებით და იძულებით ქართველნიც ებრძოდენ ლეკებს და შამილს.

ზ. ჭ.

## განცხადებანი

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნინო ავეტის ასული კორლანოვის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისაგან 1906 წელს რეესტრით № 559 და სასულიერო ანდერძი გიორგი ალექსანდრეს ძე კორლანოვის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მიტკევიჩისაგან და დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს მიერ 1915 წ. 18 მაის № 18402. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3011 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი რებეკა ბარუხ—ბენციას ასული პოგრებიცკაიას სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მაჭავარიანის მიერ 1917 წ. რეესტრით № 5754. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3013 3—2

დაიკარგა კვიტანციები და ქალაქის გამგეობის მოწმობა 1770 მიცემული ოქტომბრის 2-ს 1920 წ. მარიამ სოლომონის ასული დემუროვის სახელზე ღვინო-გასტრონომიული მაღაზიის ვაჭრობის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3004 3—3

დაიკარგა ატესტატი № 232, მიღებული ტფ. პირველ კომერციულ სასწავლებლიდან 1916 წ. და მეტრიკული მოწმობა № 2383, მიღებული ამიერ-კავკასიის შიიტების სასულიერო სამმართველოდან—ნაგი მაშადი ალესკერ ოღლი ბაგიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3002 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის შესასვლელი ბილეთი № 21 პანტელეიმონ ბერიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3036 3—1

ტფილისის სადარაჯო ათისეული ამით აცხადებს რომ შაბათს 9 ოქტომბერს 1920 წ. ათასეულის ბინაზე (ანტონოვის ქუჩა-ყაზარმები) შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ორ დაწუნებულ ცხენის გასაყიდათ. 3052 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან და სტუდენტების კოოპერატივის წიგნაკი—ივანე ისიდორეს ძე ნიქაბაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2997 3—2

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი და პირადობის მოწმობა, მიღებული ვარშავაში ლეონტი ვლაგას ძე პავლოვსკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2995 3—2

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. № 4830 შალვა ნიკოლოზის ძე ძიზონაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2998 3—2

სამხედრო სასამართლო, თანახმად 1920 წ. 27 სექტემბრის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა, ეძებს დრაგუნ მე-2 ცხენოსან პოლკის სიგნალის მაზრის სოფ. მალაროს მცხოვრებ 25 წ. სტეფანე ისაკის ძე ბაიდაშვილს, რომელიც მიცემულია სამართალში თანახმად დეკრეტისა დამფუძნებელ კრებისა 27 ივნის 1919 წ. პ. 2. ლიტ. ა. 260 მუხ. XXIV წ. ს. დ. კ. გამ. 4 და ბრძ. ს. დ. 1917 წ. № 336.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ბაიდაშვილი ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 922 3—2

დაიკარგა პასპორტი № 5668 მარიამ ანტონის ასული ცოცორინას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2969 3—3

დაიკარგა განჯაში წასვლის ნებართვა აგა აბრამ მოლა ცულოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3018 3—1

დაიკარგა მოწმობა სურათით № 1204 მილიციონერ თადეოზ ახვლედიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3019 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკული მოწმობა მიღებული სომხების კონსისტორიიდან არმენაკ გრიგოლის ძე კაზანჯიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3021 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი 4631 მიღებული 26 ნოემბერს 1915 წ. ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან ალექსანდრე ვენედიქტეს ძე ტიხონოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3022 3—1

დაიკარგა ღვინო-გასტრონომიული მაღაზიის ნებართვა № 183 ვასილი ბეჟანის ძე ჩაჩიბაიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3023 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით მილიციონერ მალაქია სპირიდონის ძე გვამბრაძეს სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3025 3—1

დაიკარგა ატესტატი № 890 და მოწმობა 966 კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ტრესკინის სახელზე, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3027 3—1

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 156 ვარდენ კიკაჩეიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის ერობის მოსამსახურეთა კავშირის საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1 (ფ.)

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები მიხეილ ივანეს ძე სავენკოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1912 წ. რეესტრის №№ 3604 და 3605. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3031 3—1

# სადახლოს საბაჟო

**ამით აცხადებს, რომ საბაჟოში, სადგურ სადახლოში ა./წ. ოქტომბრის 25-ს დილის 10 საათზე.**

## საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ჩამორთმეული საქონლები: ფართლეულება, საგალანტერიო საქონელი, დამუშავებული თამბაქო, საპონი, მომპასე, შეკერილი თეთრეული და სხვა.

3026. 1—1

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ქვემოდ აღნიშნული გაუტანელი ტვირთი და უსაბუთო ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 29 ოქტომბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ გადაზე არ გაიყიდა, ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება ოქტომბრის 30 1920 წ.

ბათუმიდან—სანაინში № 35387 რიგ. № 272—1 ფ., სადახლოდან—სანაინში № 15709 რიგ. № 277—3 ფ., ტფილისიდან—ბორჯომში № 110892, რიგ. № 276 გამხმარი სალუბავი 1 ფ. 30 გ., ბათუმიდან—ნატანებში № 35038 რიგ. № 263 ცარიელი ყუთები 4 ფ., ბათუმიდან—ნიგოითში № 35512 რიგ. № 271 ცარიელი ყუთები 1 ფ., ქობულეთიდან—ნატანებში № 24110 რიგ. № 264 ცარიელი ყუთები 1 ფ. 25 გ. სალოღლიდან—ტფილისში № 3220 ცარიელი ყუთები 20 გ., სანაინიდან—ტფილისში № 13330 რიგ. № 281 გვირგვინი რკინის 15 გ.; სურამიდან—ტფილისში № 20157 რიგ. № 283 აკვანი 15 გ.; ბორჯომიდან—ტფილისში № 14760 რიგ. № 284 ცარიელი კალათი 10 გ.; ბორჯომიდან ტფილისში № 14228 რიგ. № 286 ცარიელი ყუთი 1 ფ. 5 გ.; ახალ-სენაკიდან—ტფილისში № 73198 რიგ. № 287 ფიცარი 25 გ.; კალაგერანიდან—ტფილისში № 76 რიგ. № 288; კალათი 1 ფ.; ყარაიაზიდან—ტფილისში № 10673 რიგ. № 289 ცარიელი კალათი 27 გ.1 ფოთიდან—ტფილისში № 87243 საოჯახო ნივთები 25 გ.; ერევნიდან ტფილისში № 5721 რიგ. № 291 ყუთი 1 ფ. 20 გ; ერევნიდან—ტფილისში № 4718 რიგ. № 292 ლოგინი; ფ. 20 გ.; ალექსანდროპოლიდან—ტფილისში № 1571 რიგ. № 293 საოჯახო ნივთები ქსანკიდან—ტფილისში № 16871 რიგ. № 294 ცარიელი ბიტონი 2 ფ.; მუხრანიდან ტფილისში № 12302 რიგ. № 295 კრაოტი 1 ფ. 13 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4757 რიგ. № 296 საოჯახო ნივთები 7 ფ. 10 გ.; ბათუმიდან—ტფილისში № 36727 რიგ. № 287 საოჯახო ნივთები 3 ფ. 9 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4755 რიგ. № 298 საოჯახო ნივთები 4 ფ. 15 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4759 რიგ. № 299 საოჯახო ნივთები 5 ფ. 16 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4758 რიგ. № 300 საოჯახო ნივთი 5 ფ. 17 გ.; ბორჯომიდან—ტფილისში № 14679 რიგ. 301 კასრი ცარიელი 5 ფ. 15 გ.

**უსაბუთონი.**

ნავთლუღიდან—ტფილისში № 2254 რიგ. № 272 ცარიელი ყუთები 3 ფ. 7 გ.; ბათუმიდან—ტფილისში № 71251 რიგ. № 251 სხვა და სხვა საქონელი 601 ფ.; სამტრედიიდან—ტფილისში № 5406 რიგ. № 246 რკინეულობა 1 ფ. 25 გ.; ოქმი სად. ტფილისის № 2281 რიგ. № 250 ცარიელი ტომრები 1 ფ. 15 გ.; ხაშურიდან—ტფილისში № 33353 რიგ. № 262 ცარიელი კალათი 1 ფ. 25 გ.; სანაინიდან—ტფილისში № 11180 რიგ. № 279 ნოირი 15 გ.

925 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.